განკარგულება:**g-31. 31241495**
თარიღი:**28/05/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №30

2024 წლის 28 მაისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მაია თურმანიძისთვის (პ/ნ 61005004423) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, მაია თურმანიძეს (პ/ნ 61005004423) გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოჩხათის ადმინისტრაციულ შენობაში (ს/კ 27.13.43.001) მეორე სართულზე არსებული 50,97 კვ.მ. ფართიდან (ს/კ 27.13.43.001.01.507) ოთახი N 10 - 10,46 კვ.მ ფართი.

მუხლი 2. პირველი მუხლით გათვალისწინებული, უძრავი ქონება მაია თურმანიძეს (პ/ნ 61005004423) სარგებლობის უფლებით გადაეცეს 5 (ხუთი) წლის ვადით, ხოლო უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა განისაზღვროს, საბაზრო ღირებულების 1820 (ათას რვაას ოცი) ლარის 65 % რაც შეადგენს 1183 (ათას ას ოთხმოცდასამი) ლარს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი